

შპს „კომპლექსის“

31 დეკემბრით დასრულებული 2021 წლის ფინანსური
ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	შენიშვნა ც
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	728 705	722 177	597 936	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	45 979		2	3.3
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2 216 104	2 272 215	2 080 660	3.2,4
მარაგები	922 689	986 714	1 869 266	3.6
- მზა პროდუქცია				
- სხვა	922 689	986 714	1 869 266	3.6
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	2 949 667	135 780	78 272	3.4,5
ბიოლოგიური აქტივები	4 132	4 204		
- თვითღირებულების მოდელით	4 132	4 204		
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2 316 064	1 439 212	158 882	3.7,8
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	9 183 340	5 560 302	4 785 018	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	216 265	445 709	152 274	3.9
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	49 262	24 961	68 045	3.12
გამომუშავებელი შემოსავალი	316 500	842 281	360 000	3.10
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	2 978 615	1 401 126	1 153 748	3.11
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2 430 474	1 658 290	1 673 925	3.13
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				3.13,17
სულ ვალდებულებები	5 991 116	4 372 367	3 407 992	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოორდინაციის შემთხვევაში)	102 140		981 543	3.14
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3 090 084	1 187 935	395 483	3.14
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	3 192 224	1 187 935	1 377 026	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9 183 340	5 560 302	4 785 018	

შპს „კომპლექსის“ დირექტორი

ირაკლი მამეიშვილი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი 2021 წელი	საანგარიშგებოს წინა პერიოდი 2020 წელი	შენიშვნა c
ნეტო ამონაგები	4 325 387	3 353 110	
საქონლის გაყიდვიდან	231 136	8305	3.15
მომსახურების გაწევიდან	3 970 739	3 334 723	3.15
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა	123 512	10082	3.15
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1 938 470)	(2 081 431)	3.15
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	2 386 917	1 271 679	
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(37 893)	(60 039)	3.16
ცვეთა და ამორტიზაცია	(100 795)	(31 470)	3.16
საპროცენტო შემოსავალი:	178 520	146 142	3.18
საპროცენტო ხარჯი:	(352 856)	(165 577)	3.18
ოჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(308 894)	(286 792)	3.16
სულ საოპერაციო ხარჯები	(621 918)	(397 736)	
საოპერაციო მოგება	1 764 999	873 943	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	137 178	(80 626)	3.17
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(28)	(865)	3.19
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციები	1 902 149	792 452	3.20
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	1 902 149	792 452	3.20
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ			
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	1 902 149	792 452	3.20
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 187 935	1 377 026	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	102 140	(981 543)	3.14
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3 192 224	1 187 935	

შპს „კომპლექსის“ დირექტორი

ირაკლი მამეიშვილი

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კომპლექსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2018 წლის 26 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 437372497, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ოზურგეთი, ალ. გრიბოედოვის ქ., N27, ბ. 12. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი და ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ირაკლი მამეიშვილი (პ/ნ 33001002654).

1.3. კომპანიის დირექტორია ირაკლი მამეიშვილი (პ/ნ 33001002654)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასაცხოვრებელი ნაგებობების დაშლა, ჯართის გატანა.

1.5. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. დაუმთავრებელი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების აღიარებისათვის გამოიყენება პროპორციული შესრულების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით.

თუ შეუძლებელია ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ:

(ა) საწარმომ აღიარებს მხოლოდ ამონაგების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და

(ბ) სახელშეკრულებო დანახარჯები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

თუ მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით და, ამავე დროს, იქმნება შესაბამისი ანარიცხი წაგებიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც საწარმოს უკვე აღიარებული აქვს როგორც სახელშეკრულებო ამონაგები, საწარმომ ამგვარი თანხა უნდა აღიაროს მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც სახელშეკრულებო ამონაგების კორექტირება.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლევადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდასაბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი

გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის

გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობები - 5%;

ოფისის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკისა და ავეჯის გარდა - 20%;

ავეჯი - 20%;

მსუბუქი ავტომობილები - 20%;

სატრანსპორტო საშუალებების აქსესუარები - 20%;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები - 50%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა). 2021 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის

წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3,0976 ლარი;

1 EUR=3,5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3,2766 ლარი;

1 EUR=4,0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	2	67958	
ლარი საბანკო ანგარიშებზე	124671	15282	2539
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	604032	638937	595397
სულ:	728705	722177	597936

3.2. გაცემული მიმდინარე სესხები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გაცემული სხვა სესხები	1810361	1930349	1658821
მისაღები პროცენტები	295795	177840	38208
სულ:	2106156	2108189	1697029

2021 წლის ბოლოსთვის დარჩენილი დავალიანება წარმოადგენს 2 იურიდიულ პირზე გაცემული სესხის ძირს და გადასახდელ პროცენტს.

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	45979		2
სულ:	45979	0	2

2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი 2 იურიდიული პირის წინაშე, 31.12.2021 წ. მდგომარეობით, რომლებიც დაიფარა 2022 წლის დასაწყისში.

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	103968	158068	378956
წილის შესაძენად გადახდილი ავანსი	2900000		
სხვა გადახდილი ავანსები	5980	5958	4675
სულ:	3009948	164026	383631

31.12.2021 წ. მდგომარეობით ავანსები გადახდილია 5 რეზიდენტი მიმწოდებლისთვის და 1 ფიზიკური პირისთვის.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	48950	135453	77341
მოთხოვნები ანაგარიშვალდებული პირების	390		541
წინსწრებით გადახდილი საპანსიო ფონდში	327	327	390
სულ:	49667	135780	78272

წინსწრებით გადახდილი გადასახადის უდიდეს ნაწილს, 48280 ლარს შეადგენს მიმწოდებლისთვის ავანსად გადახდილ თანხაზე დარიცხული და ბიუჯეტში გადახდილი ჩასათვლელი დღგ.

მოთხოვნა საწარმოს პერსონალის წინაშე დაიფარა 2022 წლის დასაწყისში.

3.6. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
საქონელი	922689	922689	1857869
მასალები		64025	11397
სულ:	922689	986714	1869266

საწარმოს საქონელში აღრიცხულია სარეალიზაციო უძრავი ქონება.

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთი (თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. 52 117კვ.მ, ს/კ	989646	98322	98322
სულ:	989646	98322	98322

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
შენობები	1148452	1205885	
ოფისის აღჭურვილობა	17911	22873	4213
ავეჯი	50640	64012	
მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	106888	44485	56347
სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	2527	3635	
სულ:	1326418	1340890	60560

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 135159 ლარი;

2020 წლის ბოლოს - 34435 ლარი;

3.8. ბიოლოგიური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ბიოლოგიური აქტივები	4132	4204	0
სულ:	4132	4204	0

ბიოლოგიურ აქტივებზე საწარმოს აღრიცხული აქვს წიწვოვანი და დეკორატიული ნარგავები.

3.9. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების	216265	445710	152274
სულ:	216265	445710	152274

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 6 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.10. მიღებული ავანსები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიღებული ავანსები რეზიდენტებისაგან	316500	842281	360000
სულ:	316500	842281	360000

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიას მიღებული ჰქონდა ავანსი 1 რეზიდენტი საწარმოსაგან, რომელიც შესრულებული იქნა 2022 წლის დასაწყისში.

3.11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირი	622092		45000
პალიკბანკისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	2013440	1146810	1108691
პალიკბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხის (კრედიტის ხელშეკრულება № 000101.2230/1) მიმდინარე ნაწილი	256405	254316	
პალიკბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხის (კრედიტის ხელშეკრულება № 000101.2230/3) მიმდინარე ნაწილი	83670		
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	3008		57
სულ:	2978615	1401126	1153748

3.12. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	36157	21147	58130
მომწოდებლისთვის გადახდილ ავანსებზე მიღებული ჩათვლა	13105	3814	9915
სულ:	49262	24961	68045

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები შედგება დეკემბრის თვის გადასახდელი თანხებისგან, რომელთა დეკლარირებაც მოხდა 2022 წლის 15 იანვრისთვის.

3.13. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
პალიკბანკისგან აღებული სესხი კრედიტის ხელშეკრულება № 000101.2230/1	1311294	1658290	1673925
პალიკბანკისგან აღებული სესხი კრედიტის ხელშეკრულება № 000101.2230/3	1119180		
სულ:	2430474	1658290	1673925

„პალიკბანკიდან“ აღებული საკრედიტო ხაზის დავალიანება აშშ დოლარებში 2021 წლის ბოლოს შეადგენს 781631,19 USD-ს.

3.14. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	102140		981543
გაუნაწილებელი მოგება	3090084	1187934	395483
სულ:	3192224	1187934	1377026

2021 წელს დივიდენდი არ განაწილებულა.

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა არასაცხოვრებელი ნაგებობების დაშლასა და ჯარტის გატანის მომსახურებაზე მიღებული შემოსავლებით.

	2021 წელი	2020 წელი
ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (ნაგებობების დაშლა, ჯარტის გატანა)	3970739	3334723
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-1674363	-2068826
საქონლის (ავტოსადგომის) რეალიზაცია	231136	8305
საქონლის თვითღირებულება	-264107	-12605
სიჯარო შემოსავალი (საოფისე ფართის იჯარით გაცემა)	123512	10082
სულ:	2386917	1271679

3.16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-37893	-59598
გადასახადი საპენსიო ფონდში ხელფასებიდან		-441
ცვეთა და ამორტიზაცია	-100795	-31470
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	-2016	-10627
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-13368	-7039
მმართველობითი, საკონსულტაციო და საშუამავლო ხარჯები	-254237	-254237
ქონების დაზღვევის ხარჯი	-5636	-3552
ძირითადი საშუალებების მიმდინარე სარემონტო ხარჯები	-3925	-6472
საბანკო ხარჯები	-23064	-4263
საბანკო ხარჯები კონვერტაციის დროს	-6482	-2376
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (საოფისე ინვენტარი, სხვა)	-167	-312
სულ:	-447583	-380387

3.17. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები სავალუტო ოპერაციებიდან:

	2021 წელი	2020 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	1473963	348512
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-1336785	-429138
სულ:	137178	-80626

3.18. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	19727	17117
საპროცენტო შემოსავლები არასაფინანსო ისტიტუტებისაგან	158793	129025
საპროცენტო ხარჯები (მათ შორის ჯარიმა სესხის პროცენტის დროულად გადაუხდელობისთვის)	-349576	-165109
საპროცენტო ხარჯები არასაფინანსო ისტიტუტებისაგან	-3279	-468
სულ:	-174335	-19435

3.19. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი-ხარჯი:

	2021 წელი	2020 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ვალუების პატივით აღიარებული შემოსავალი, დამრგვალებები)	5	743
საშემოსავლოს შეღავათიდან მიღებული შემოსავალი	260	1075
სხვა არასაოპერაციო ხარჯი (საგადასახადო ჯარიმები, დამრგვალებები)	-293	-597
სულ:	-28	1221

3.20. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

	2021 წელი	2020 წელი
მთლიანი სრული შემოსავალი / ზარალი	1902149	792452
სულ:	1902149	792452

3.21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 19 სექტემბერს.